ოქროს თვისებები და მოპოვების ისტორია

მარიამ ქელეხსაშვილი
mariami.kelekhsashvili@gmail.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ოქრო/Au/ მიეკუთვნება კეთილშობილ ლითონებს. ოქროს თვისებებმა ადამიანის ყურადღება უხსოვარი დროიდან მიიქცია. მათგან აღსანიშნავია: ფერი, დაბალი სიმაგრე, ძლიერი ელვარება, მაღალი ხვედრითი წონა, ჭედადობა, ელექრო- და თბოგამტარობა, მჟავებში უხსნადობა. ოქრო ბუნებაში სხვადასხვა ფორმითაა გავრცელებული. ის გვხვდება როგორც თვითნაბად მდგომარეობაში, ასევე სხვა ელემენტებთან ნაერთების სახითაც. წარმოშობის მიხედვით არჩევენ ოქროს ძირითად და ქვიშრობულ საბადოებს. საიდანაც მისი მოპოვება სხვადასხვა მეთოდებით არის შესაძლებელი. ადამიანმა ოქროს გამოყენება ანტიკური პერიოდიდან ხალასი ოქროს მოპოვებით დაიწყო. ოქროს მომპოვებელი პირველი სახელმწიფო ეგვიპტეა. მოხსენებაში ოქროს თვისებებთან ერთად, განხილულია ოქროს მოპოვების ეტაპები.